

UDC 7.06

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-267-279>

ქ. ბათუმის ისტორიული ბირთვის ურბანული განვითარების საპროექტო წინაპირობა

ნიკოლოზ შავიშვილი დიზაინის საერთაშორისო სკოლა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75^ა

E-mail: n.shavishvili@gtu.ge

ზვიად ნამგალაძე არქიტექტურის საფუძვლების, თეორიის და სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68

E-mail: namgaladzeviad09@gtu.ge

რეცენზენტები:

გ. მიქიაშვილი, სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის პროფესორი

E-mail: g.mikiashvili@gtu.ge

მ. დავითაია, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: m.davitaia@gtu.ge

ანოტაცია. სტატიის ავტორებმა ჩაატარეს ბათუმის ისტორიული ბირთვის კვლევა და მოამზადეს მისი განვითარების საპროექტო წინაპირობები. მსოფლიოს ბევრ სხვა საპორტო ქალაქთან შედარებით, ბათუმს ნაკლებად შემორჩა უძველესი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, რადგან ქალაქის ისტორიული ბირთვის განვითარება დიდწილად XIX საუკუნით თარიღდება. არქიტექტურულ სტილებთან შედარებით, ბათუმის ურბანული მორფოლოგია უფრო ერთგვაროვანია. ქალაქის ისტორიული ნაწილის ტოპოგრაფია შედარებით მშვიდია, რელიეფი ჰორიზონტალური, რამაც საშუალება

მისცა ქუჩის მართკუთხა ქსელის ჩამოყალიბებას. შედეგად, ბათუმის ისტორიული ბირთვი ვითარდება, როგორც ევროპული ტიპის დასახლება, ჩვენი აზრით ის უნდა დაეფუძნოს ბათუმის შემდგომი განვითარების ორგანიზაციულ პრინციპებს. ეს ეფუძნება წინაპირობას, რომ ქალაქის ორთოგონალური დაგეგმარება დღემდე შემორჩენილი აღმოჩნდება გოგებაშვილის, დასავლეთიდან გრიბოდოვის, ჩრდილოეთიდან ბულვარისა და სამხრეთიდან ჭავჭავაძის ქუჩებს შორის. სანაპირო ზოლში მდებარე შენობების მთავარი ფასადები ისტორიულად ორიენტირებული იყო ზღვისკენ.

თუმცა, 2005 წლიდან ბათუმის არქიტექტურულ-ურბანული ქსოვილი მნიშვნელოვნად დაზიანდა და ფაქტობრივად დაიკარგა ისტორიული ურბანული იდენტობა. დაზიანდა არა მხოლოდ ქალაქის ისტორიული ნაწილი, არამედ მისი ღირებული ლანდშაფტიც. სტატიის ავტორები ხედავენ საპორტო ქალაქის უნიკალური მახასიათებლების აღდგენაში დახმარების პერსპექტივას, მისი ქუჩების განლაგების ქსელური სტრუქტურის ხაზგასმით და გაძლიერებით, იმ ურბანული უბნების განვითარებით, რომლებსაც ნაკლები არქიტექტურული და ისტორიული ღირებულება აქვთ და ამით მოხსნის ზეწოლას ღირებული ცენტრალური ბირთვის კვარტლებიდან მის გარეთ ახალი განვითარების მიმართებით.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი; განაშენიანება; ქალაქის განვითარების პერსპექტივა; ცენტრის ისტორიული ბირთვი.

შესავალი

სტატიის ავტორებმა ქვემოთ განხილული კვლევა ჩაატარეს და საპროექტო წინაპირობა მოამზადეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „სიტი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2021 წ. 16 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის N88-ე ხელშეკრულების ფარგლებში. სხვა ამოცანათა შორის, ავტორებს ევალებოდათ ქ. ბათუმის ის-

ტორიული ბირთვის კვლევა და მისი განვითარების საპროექტო წინადადების მომზადება.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიოს ბევრ სხვა საპორტო ქალაქთან შედარებით, ბათუმს ნაკლებად შემორჩა დიდი მასშტაბის უძველესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა. ქალაქის ისტორიული ბირთვის განაშენიანება მეტწილად უკანასკნელი საუკუნენახევრის პერიოდით თარიღდება. მისი არქიტექტურა თბილისის რუსთაველის გამზირისნაირად ვითარდებოდა, ანუ სახეზეა „მხატვრულ სტილთა მრავალფეროვნება, სინთეზი და ეკლექტიზმობა,... (XIX ს. ბოლოდან) ბაროკული, რენესანსული თუ გოთური მოტივები, რასაც მოგვიანებით ენაცვლება რომანტიზმით, ადრეული და გვიანი მოდერნიზმითა და კონსტრუქტივიზმით შთაგონებული არქიტექტურული ნიმუშები“ (1). არქიტექტურულ სტილებთან შედარებით უფრო ჰომოგენურია ბათუმის ურბანული მორფოლოგია. ქალაქის ისტორიული ნაწილის ტოპოგრაფია შედარებით მშვიდია, რელიეფი – ჰორიზონტალური, რაც ქუჩათა ქსელის მართკუთხა დაგეგმარების საშუალებას იძლეოდა. ოსმალეთის ბატონობის პერიოდის, 1878 წ. ბათუმის რუკაზე ჩანს, რომ ქალაქის დაგეგმარება ჯერ კიდევ არ ატარებდა მოწესრიგებულ, გეომეტრიულ ხასიათს, არ იყო ჩამოყალიბებული ქუჩების ქსელის, კვარტალებად დაყოფისა და სისტემური განაშენიანების პრინციპები, მაგრამ სახეზე უკვე იყო ქალაქის ზოგადი მონახაზი, ვიწრო ქუჩებისა და კვარტალების ორიენტირება ზღვისკენ, ბურუნ-თაბიეს ციხე-სიმაგრის მიმართულებით. უკვე მაშინ

ქუჩების განივკვეთი დახრილი იყო ქუჩის ღერძის მიმართულებით, სადაც ქუჩის მთელ სიგრძეზე მოწყობილი იყო ღია სანიაღვრე არხები. ეს არხები ერთი საერთო არხის საშუალებით ზღვას უერთდებოდა და ბათუმური კოკისპირული წვიმების დროს, ქუჩაში დაგროვებული წყალი პირდაპირ ზღვაში ჩაედინებოდა (2).

XIX ს. მეორე ნახევარში ამან საფუძველი ჩაუყარა ცენტრის ახალი უბნის – ნურიეს მართკუთხა წესრიგის ჩამოყალიბებას. ოთხი პოლიციური უბნიდან, რომლებიც ოსმალეთის ბატონობის პერიოდმა დაგვიტოვა, ნურიე ყველაზე უფრო მოწესრიგებული იყო. შემდგომ პერიოდებში მან მოახდინა ზეგავლენა უძველესი უბნის – აზიზიეს (იგი მოიცავდა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს დღევანდელ გოგებაშვილის და ბარათაშვილის ქუჩებს შორის და წარმოადგენდა აღმოსავლური ტიპის მსხვილ სავაჭრო ცენტრს) ქუჩათა ქსელის გამართვაზე. ნურიე ევროპული ტიპის დასახლება იყო და, ჩვენი აზრით, სწორედ მან უნდა შეუქმნას საფუძველი ბათუმის შემდგომი განვითარების ორგანიზაციულ პრინციპებს. ამას საფუძვლად უდევს ის წინაპირობა, რომ ორთოგონალური გეგმარება დღემდე შენარჩუნებულია ქალაქის აღმოსავლეთიდან გოგებაშვილის, დასავლეთიდან გრიბოედოვის, ჩრდილოეთიდან ბულვარის და სამხრეთიდან ჭავჭავაძის ქუჩებს შორის.

სანაპირო ზოლში მდებარე შენობები მთავარი ფასადებით ისტორიულად ორიენტირებული იყო ზღვისკენ. ზღვა აღმოჩნდა ძველი ბათუმის ბუნებრივი არქიტექტურული ორიენტირი. შემთხვევითი არ იყო, რომ ბათუმის ქუჩების უმრავლესობა იწყებოდა ზღვიდან. ასეთი განაშენიანება ხელს უწყობდა

და ბათუმის მხატვრული იერსახის წარმოჩენასა და ზღვის მხრიდან მასზე ხედების გახსნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ისტორიული ბირთვის კვლევამ ცხადყო, რომ მისი არქიტექტურული და ურბანული ქსოვილი მნიშვნელოვნადაა დარღვეული. ამ რღვევებს რამდენიმე გამოკვეთილი თვისება აქვს. ცვლილებებს დასაბამი მიეცა XX ს-ის 60–80-იან წლებში. ცენტრალური ბირთვის კვარტალების დიდ ნაწილში ჩაინერგა 8–9- სართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთა ტიპური, სტანდარტული, გვიანდელი საბჭოური არქიტექტურა, გამოყენებული მასალები, ტექნოლოგიები, მასშტაბები და, ზოგადად, მათი საერთო იერი მთლიანად შეუსაბამო აღმოჩნდა როგორც ნურიეს და აზიზიეს XIX ს. ბოლოს – XX ს. დასაწყისის სტილისტურად მრავალფეროვან, მაგრამ სიმაღლეებით შეზღუდულ, მეტწილად 1–3-სართულიან განაშენიანებასთან, ასევე XX ს. შუა პერიოდის 4–5-სართულიან ნაგებობებთან, რომელთა რიცხვი მნიშვნელოვანი ისედაც არასოდეს ყოფილა. ამ პერიოდის მსხვილი შეუსაბამო ჩანარების მაგალითები მოიძიება კ. გამსახურდიას და შოთა რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც გაჩნდა გრძივი დომინანტი – რუსთაველის N10; კვარტალებში რუსთაველის, ასათიანის, კლდიაშვილისა და ნინოშვილის ქუჩებს შორის – ასათიანის N27/2 (კულტურული მემკვიდრეობის რეგისტრირებული ძეგლის სტატუსის მქონე სახლის მიმდებარედ); ჯინჟარაძის, 26 მაისის, ფარნავაზ მეფის და მელიქიშვილის ქუჩებს შორის – 26 მაისის N40 (კვარტალის მოპირდაპირე მხარეს ასევე რეგისტრირებული ძეგლია); ფარნავაზ მეფის, კ. გამსახურდიას, ვახტანგ გორგასლის და ბარათაშვილის ქუჩებს შორის –

ვახტანგ გორგასლის N40 (ამ კვარტალში ერთბაშად 3 მეგლი მდებარეობს), და სხვა.

პოსტსაბჭოური პერიოდის დასაწყისში, 1990-იან წლებში, ახალი მშენებლობები პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა, თუმცა გრძელდებოდა საქართველოს ქალაქებისათვის ასე დამახასიათებელი ლოჯიკის მიშენების, სხვენების გამოყენების, სართულების დაშენების პროცესები. ინტენსიური მშენებლობა განახლდა 2005 წლიდან. შედეგად, ქ. ბათუმის ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე ბოლო ათეული წლის განმავლობაში კიდევ უფრო შეიცვალა, რაც ქალაქის განვითარებისადმი არასწორი ხედვით არის განპირობებული. დასახიჩრდა არა მხოლოდ ქალაქის ისტორიული ნაწილი, არამედ მისი ღირებული ლანდშაფტიც.

სასტუმროების, საოფისე ფართობებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფუნქციის მატარებელი ახალგაჩენილი შენობების უსახური მოცულობები თავისი უადგილოდ დიდი ზომებით, არათავსებადი მასშტაბითა და არატრადიციული არქიტექტურულ-სივრცითი გეგმარებით განაშენიანების პანორამულ ხედში უკვე საკმარისად აქტიურად და აგრესიულად აღიქმება და დისონანსს ქმნის როგორც ლანდშაფტთან, ისე ისტორიულ განაშენიანებასთან. მაგალითად, ბათუმის ზღვის „ფასადის“ ჩაკეტვას ხელს უწყობს ზღვის პირას, ქალაქის დასავლეთით კონცენტრირებული მრავალსართულიანი შენობები, რომლებსაც გაუმართლებლად აქვთ დაკავებული ესთეტიკური თუ ხედვითი პოზიციებიდან განაშენიანების საუკეთესო ფორმები. არქიტექტურული კონტექსტიდან ამგვარად ამოვარდნილი ნაგებობები ურბანული ქსოვილის

თანდათანობითი დეგრადაციის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.

ისტორიულ ზონაში ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე ჩნდება დიდი ზომის ახალი ჩანართები, რომლებიც, ისევე როგორც XX ს-ის 60–80-იანების საცხოვრებელი სახლები, უმასშტაბოა, კეტავენ ხედებს, ხერგავენ განაშენიანებას და არ არის ქალაქგეგმარებითად ორგანიზებული. კერძო დეველოპერთა ბულვარის ზოლის მიმართ ინტერესის გამო ეს განაშენიანება, დასაწყისში, ნაკლებად ვრცელდებოდა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ნინოშვილის ქუჩის სამხრეთით. უკიდურესი ჩრდილოეთიდან სამხრეთ-დასავლეთით აშენდა მალღივი ნაგებობები: ანზანის კოშკი, კომპლექსი „კემპინსკი“, „პორტა ტაუერ ბათუმი“, „რედისონ ბლუ“ (ყოფ. სასტუმრო „მედეა“ ნინოშვილის ქუჩის სამხრეთითაა, თუმცა 14-სართულიანი ბეტონის ბრუტალისტური კოშკი აქ საბჭოთა პერიოდიდან, 1977 წლიდან დგას), კოშკი „ბათუმი ტაუერ“ (2013 წლამდე მასში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განთავსება იყო დაგეგმილი) და „ლე მერიდიენის“ კომპლექსი. ამ უწყვეტ რიგს მოყვება მცირე გარღვევა მალღივ განაშენიანებაში კ. გამსახურდიას ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას ქუჩამდე, მაგრამ შემდეგ რიგი განახლდება „შერატონის“ კოშკით (ისიც გადმოდის ნინოშვილის ქუჩამდე), გრძელდება მშენებარე „ბაბილონ ტაუერით“ და ისევ ირღვევა მელიქიშვილის ქუჩიდან რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის კვარტლით, რომლის შემდეგ „ჰილტონის“ და „ალიანს პრივილეჯის“ კომპლექსია.

ამ თითქმის უწყვეტი რიგის ის ნაწილი, რომელიც სამხრეთით გადმოდის და ავსებს ზონას

ნინოშვილსა და რუსთაველს შორის, შედარებით ნაკლები ზიანის მომტანი ორი შენობაა: რედისონ ბლუს შემინული გარსი ყოფილ „მედეას“, პირიქით, ამსუბუქებს - მიკელე დე ლუკიმ ოსტატურად დააქუცმაცა ბეტონის ტლანქი მასა და ამით ნამდვილად არ გააუარესა ურბანული სურათი, „შერატონი“ კი გარდამავალი პერიოდის არქიტექტურული ოპუსია, რომლის 2-სართულიან მასიურ სტერეობატს ზემოთ საკმაოდ ვიწრო კოშკი ადგას თავზე, რომელიც, ზემოთ ჩამოთვლილ მაღლივებთან შედარებით, ხედებს ნაკლებად კეტავს.

ქალაქის ისტორიულ ნაწილში მიმდინარე პროცესების კონტროლირებისა და რეგულირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრება ქალაქის ისტორიული განაშენიანების დაცვისა და რეგულირების ზონის საზღვრების არსებობას. ისინი კანონით დადგენილ შეზღუდვებსა და კონკრეტულ რეჟიმებს გულისხმობენ და, სრულფასოვნად ფუნქციონირების შემთხვევაში, ისტორიულ ზონაში მიმდინარე ნებისმიერი სახის სამუშაოების (რესტავრაცია, რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, ახალმშენებლობა და ა.შ.) რეგულირებისა და მართვის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენენ. ამ კუთხით ისტორიულ ბირთვში - ნინოშვილი/რუსთაველის ქუჩების სამხრეთით ჭავჭავაძის ქუჩამდე და გოგებაშვილის (აღმოსავლეთით) და მელიქიშვილი (დასავლეთით) ქუჩებს შორის - გამოიყოფა რამდენიმე პირობა, რომლებიც გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ბათუმის ურბანული მორფოლოგიის შენარჩუნებისა და მის ბაზაზე საპროექტო წინადადებების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ძეგლები, რომლებიც ჩვენ შევისწავლეთ ძირითადად შენარჩუნებული და გადარჩენილია, თუმცა მათი მნიშვნე-

ლოვანი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია, რაც ნაწილობრივ აისახა ქ. ბათუმის მერიის ავარიული და საცხოვრებლად გამოუსედეგარი შენობების ჩანაცვლებისა და რეაბილიტაციის პროგრამაში (3).

საზოგადოდ, ძეგლის სტატუსის მქონე ბათუმში სახლები მეტწილად 1-3-სართულიანია, ხშირად მანსარდით. ზოგ კვარტალში მათ გვერდით, ფონური და რიგითი შენობების გარდა, აღმართულია ჩვენ მიერ უკვე აღწერილი დიდი, მასიური, 8-9-სართულიანი საბჭოთა პერიოდის XX ს-ის 60-80-იანების ჩანართები, რომლებიც განსაკუთრებულად უსახურად გამოიყურება. ჩვენი აზრით, ისინი უფრო ხელშემშლელი ელემენტებია, ვიდრე 2006-13 წწ. მათ მახლობლად აღმართული მსხვილმასშტაბიანი ახალი ან ფალსიფიცირებული ისტორიული შენობები: ამ უკანასკნელთა ფონზე კი საბჭოური სტანდარტული, ტიპური მრავალბინიანი საცხოვრისი იერი გამოსწორებას არ ექვემდებარება. ერთგვარ გამოსავლად მიიჩნეოდა მათი შეფუთვა დეკორით ან აივნების შემოსვა სინთეტიკური პანელებით, ფასადების დაფარვა ცხაურებით და ა.შ., მაგრამ საერთო განაშენიანებიდან ისინი მაინც ყველაზე მეტად ამოვარდნილი რჩებიან.

რაც შეეხება 2006-13 წწ. მსხვილმასშტაბიან ჩარევებს ისტორიულ უბნებში, საერთო განაშენიანებიდან ასევე ამოვარდნილი ჩანს რამდენიმე მაგალითი, უადგილოდ იმპლანტირებული გიგანტები ან/და უხვად ორნამენტირებული ყალბი ისტორიციზმის ნიმუშები: „ტაპი რუჟ“, „ირე პალასი“, კოშკი „უიდნჰეიმი“ (რომელიც სხვებთან შედარებით ნაკლებად გამაღიზიანებელია, რადგან კვარტალის შუაში განათავსეს), თუმცა, სამწუხაროდ, ისინიც დღე-


ვანდელი დღის მოცემულობად ჩამოყალიბდა და ობიექტურ რეალობად იქცა.

ობიექტურ რეალობას ასევე წარმოადგენს ახალი მოედნები - „პიაცა“ და „ევროპის მოედანი“, რომლებიც, ისევე როგორც 2006–13 წწ. სხვა გამოვლინებები, უკვე მოცემულობად იქცნენ. მართალია, მათი მასშტაბი ბევრად არ გაცდენია არსებულ განაშენიანებას, თუმცა ამ მოედნებმა თავის დროზე ბათუმის ისტორიული ბირთვის არქიტექტურულ იდენტობას, რა ჰეტეროგენულიც უნდა ყოფილიყო იგი, მაინც სერიოზული ზიანი მიაყენეს.

სტატიის ავტორებმა „სიტი ინსტიტუტი საქართველოსთვის“ შესრულებული კვლევის ფარგლებში შეადგინეს კვლევის შედეგების რუკა (რუკა N1), რომელზეც გამოხატული 2021–22 წწ. მდგომარეობა შესაძლებელია აღიწეროს შემდეგნაირად:

1. ბათუმის ცენტრალურ ბირთვში 2006 წლიდან განხორციელებულმა ახალმა ჩანართებმა (რუკაზე აღნიშნულია შავი ლაქების სახით) მნიშვნელოვნად შეცვალა ქალაქის არქიტექტურული სახე და შექმნა მყარი ნეგატიური წინაპირობა - ობიექტურად რეალური მოცემულობა.

რუკა N1



2. არსებული ძეგლები (მათ ნაწილს 2006 წ. შემდგომ პერიოდში მოეხსნა ძეგლის სტატუსი, დემონტირებულ იქნა და ჩანაცვლდა შავი ლაქებით აღნიშნული ახალი ნაგებობებით) კვლევის შედეგების რუკაზე წითლადაა აღნიშნული და განლაგებულია ისტორიული და რეგულირებადი ზონის პრაქტიკულად ყველა კვარტალში, ხოლო რამდენიმე მათ გარეთაც.


3. კულტურული მემკვიდრეობის საყრდენი რუკით გამოყოფილი ფონური შენობები (აღნიშნულია ყვითლად) განლაგებულია 2006 წ. აღრიცხული და 2017 წ. დამატებითი სიით სტატუსზე წარდგენილი ძეგლების კვარტალებში და ხშირ შემთხვევაში ისეთ კვარტალებშიც, სადაც ძეგლის სტატუსის მქონე ან სტატუსზე წარდგენილი შენობა საერთოდ არ ირიცხება და უახლოესი ძეგლი ერთი, ორი, ზოგ შემთხვევაში კი სამი ან მეტი კვარტალის დაშორებით მდებარეობს.

4. კვლევის შედეგების რუკის ანალიზმა ცხადყო, რომ 2006 წ. კულტურული მემკვიდრეობის საყრდენი რუკით გამოყოფილი რიგითი (ღია რუხი) და შეუსაბამო (მუქი რუხი) შენობები გარკვეულ ფაქტორად ჩამოყალიბდა, რადგან მათი რიცხვი ისტორიულ ზონაშიც საკმარისად დიდია, თუმცა ისინი განსაკუთრებით ინტენსიურადაა განლაგებული უშუალოდ ზონის მიმდებარე ან მოშორებულ ტერიტორიებზე.

5. სტატიის ავტორთა მიერ შემოთავაზებულია ისტორიული ზონის შემდეგი ტაქსონომია (რუკა N2): A კვარტალები (სულ 20 კვარტალია), სადაც,

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, იკვეთება, რომ განაშენიანება შეზღუდულად პერსპექტიულია; B კვარტალები (24), სადაც მომავალი განაშენიანების წინაშე დგას გადაწყვეტილების დაბალენსების სტრატეგიული ამოცანები და ახალი განაშენიანების პერსპექტივები რჩება, მაგრამ კიდევ უფრო შეზღუდულია; და C კვარტალები (45), სადაც ამ ეტაპზე ჩვენ ცვლილებებს ვერ ვგარაუდობთ.

6. შეზღუდულად პერსპექტული A კვარტალების დასაბუთება (რუკაზე კვარტალები შემოფარგლულია მწვანე ხაზებით): სტატიის ავტორები ხედავენ განვითარების შეზღუდულ პერსპექტივებს – არსებული მასშტაბის, საშუალო სიმაღლის, სართულიანობის, მოსახლეობის და განაშენიანების სიმჭიდროვის, ისტორიული შენობების სიახლოვის სრული გათვალისწინებით – ისტორიული ბირთვის იმ კვარტალებში, სადაც მსხვილი ზომის რიგითი და/ან შეუსაბამო შენობები არ გვხვდება, ანუ სადაც მათი არარსებობა ხელს უწყობს იმგვარ დაგეგმარებას, რომელიც ჩანაცვლებდა ამორტიზებულ 1–2-სართულიან, ისტორიულ-კულტურული ღირებულების არმქონე, მეტწილად უკანონოდ აშენებულ, გაფართოებულ და მოგვიანებით ლეგალიზებულ საცხოვრებელ ერთეულებს (ე.წ. „ბარაკებს“) და ამით ბუნებრივად შეავსებდა განაშენიანებას, ძეგლების გვერდით და მათ მიმდებარედ, მათი მასშტაბის, სიმაღლეებისა და იერის გათვალისწინებით. სტატიის ავტორთა ხედვით, შეზღუდულად პერსპექტული A კვარტალების რიცხვში შესაძლებელია მოიაზრებოდეს:



- კვარტალი, რომელიც შემოფარგლულია რუსთაველის ქუჩით - 26 მაისის ქუჩით - კლდიაშვილის ქუჩით – ვაჟა-ფშაველას ქუჩით (ამ კვარტალს პირობითად მიენიჭა ნომერი A1)
- მ. აბაშიძე-გ. მაზნიაშვილი-ა. მელაშვილი-კ. გამსახურდია (A2)
- მ. აბაშიძე-ზ. გამსახურდია-ა. მელაშვილი-გ. მაზნიაშვილი (A3)
- ზ. გორგილაძე-26 მაისი-ი. ჯინჭარაძე- პ. მელიქიშვილი (A4)
- ზ. გორგილაძე-ლ. ასათიანი-ფარნავაზ მეფე-ვაჟა-ფშაველა (A5)
- მ. კოსტავა-გ. მაზნიაშვილი-ნ. ჟორდანი-კ. გამსახურდია (A6)
- მ. კოსტავა-ზ. გამსახურდია-ნ. ჟორდანი-გ. მაზნიაშვილი (A7)
- ი. აბაშიძე-კ. გამსახურდია-ფარნავაზ მეფე-ნ. ბარათაშვილი (A8)
- ნ. ჟორდანი-გ. მაზნიაშვილი-ფარნავაზ მეფე-კ. გამსახურდია (A9)
- ნ. ჟორდანი-ზ. გამსახურდია-ფარნავაზ მეფე-გ. მაზნიაშვილი (A10)
- ფარნავაზ მეფე-ვაჟა ფშაველა-ვახტანგ გორგასალი-26 მაისი (A11)

- ფარნავაზ მეფე-გ. მაზნიაშვილი-ვახტანგ გორგასალი-კ.გამსახურდია (A12)
- ვახტანგ გორგასალი-ვაჟა-ფშაველა-ს. ზუბალაშვილი-26 მაისი (A13)
- ვახტანგ გორგასალი-ლ. ასათიანი-ს. ზუბალაშვილი-ვაჟა-ფშაველა (A14)
- ვახტანგ გორგასალი-დემეტრე თავდადებული-ს. ზუბალაშვილი-ლ. ასათიანი (A15)
- ხულო-ზ.გამსახურდია-ს. ზუბალაშვილი-გ. მაზნიაშვილი (A16)
- ხულო-ქუთაისი-ზ.გამსახურდია (სამკუთხედი კვარტალი NA17)
- ს. ზუბალაშვილი-გ. მაზნიაშვილი-მ. კომახიძე-კ.გამსახურდია (A18)
- მ. კომახიძე-გ. მაზნიაშვილი-ი. ჭავჭავაძე-კ. გამსახურდია (A19)
- ფარნავაზ მეფე-დემეტრე თავდადებული-ვახტანგ გორგასალი-ლ. ასათიანი (A20)

7. პერსპექტივის თვალსაზრისით შეზღუდვის უფრო მაღალი ხარისხით გამორჩეული (ნაკლებად პერსპექტული) B კვარტალების დასაბუთება (მეტად შეზღუდული კვარტალები რუკაზე შემოიფარგლა ყვითელი ხაზებით): სტატიის ავტორები აქ ხედავენ განვითარების განსხვავებულ, თუმცა მნიშვნელოვნად შეზღუდულ პერსპექტივებს ისტორიული ზონის ქვემოთ ჩამოთვლილ კვარტალებში, სადაც განაშენიანების მთავარი ფაქტორი მსხვილი ზომის რიგითი და შეუსაბამო შენობების არსებობაა, რაც ქმნის ორ ერთმანეთის საპირისპირო, კონფლიქტურ პირობას: ა) ერთი მხრივ, მათი ზომათითქოს უბიძგებს დამპროექტებლებს პერსპექტიული განაშენიანება რიგითის ან შეუსაბამოს მასშტაბზე, სიმაღლეზე ან სართულიანობაზე გაასწო-

როს, თუმცა ბ) მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში მკვეთრად გაიზრდება კვარტალის ისედაც მაღალი, A ჯგუფთან შედარებით, განაშენიანების და მოსახლეობის სიმჭიდროვე და ახალი შენობები შეევა გარდაუვალ წინააღმდეგობაში აქ არსებულ ძეგლებთან. ამიტომ ეს ჯგუფი ყველაზე უფრო რთულია დასაგეგმარებლად. სწორი ბალანსის შერჩევა მომავალში ბათუმის დეტალური დაგეგმარების ავტორების და ქალაქის და ძეგლთა დაცვის ორგანოების ურთულეს პოზიციად დარჩება:

- კვარტალი, რომელიც შემოფარგლულია რუსთაველის, 26 მაისის, კლდიაშვილის და მელიქიშვილის ქუჩებით (მას პირობითად მიენიჭა ნომერი B1)
- რუსთაველი-ლ. ასათიანი-დ. კლდიაშვილი-ვაჟა-ფშაველა (B2)
- რუსთაველი-დემეტრე თავდადებული-მ. აბაშიძე-ლ. ასათიანი (B3)
- რუსთაველი-ნ. დუმბაძე-მ.აბაშიძე-დემეტრე თავდადებული (B4)
- დ. კლდიაშვილი-26 მაისი-მ.აბაშიძე-პ. მელიქიშვილი (B5)
- დ. კლდიაშვილი-ვაჟა-ფშაველა-მ.აბაშიძე-26 მაისი (B6)
- დ. კლდიაშვილი-ლ. ასათიანი-მ.აბაშიძე-ვაჟა-ფშაველა (B7)
- მ. აბაშიძე-26 მაისი-ზ. გორგილაძე-პ. მელიქიშვილი (B8)
- მ. აბაშიძე-ვაჟა-ფშაველას ქუჩა-ზ. გორგილაძე-26 მაისი (B9)
- მ. აბაშიძე-ნ. ბარათაშვილი-ზ. გორგილაძე-დემეტრე თავდადებული (B10)

- ა. მელაშვილი-გ. მაზნიაშვილი-მ. კოსტავა-კ. გამსახურდია (B11)
 - ა. მელაშვილი-ზ. გამსახურდია-მ. კოსტავა-გ. მაზნიაშვილი (B12)
 - ზ. გორგილაძე-ვაჟა-ფშაველა-ი. ჯინჭარაძე-26 მაისი (B13)
 - ზ. გორგილაძე-ნ. ბარათაშვილი-ფარნავაზ მეფე-დემეტრე თავდადებული (B14)
 - ფარნავაზ მეფე-ლ. ასათიანი-ვახტანგ გორგასალი-ვაჟა-ფშაველა (B15)
 - ფარნავაზ მეფე-ნ. ბარათაშვილი-ვახტანგ გორგასალი-დემეტრე თავდადებული (B16)
 - ვახტანგ გორგასალი-ნ. ბარათაშვილი-ს. ზუბალაშვილი-დემეტრე თავდადებული (B17)
 - ვახტანგ გორგასალი-კ. გამსახურდია-ს. ზუბალაშვილი-ნ. ბარათაშვილი (B18)
 - ვახტანგ გორგასალი-გ. მაზნიაშვილი-ს. ზუბალაშვილი-კ. გამსახურდია (B19)
 - ს. ზუბალაშვილი-ზ. გამსახურდია-მ. კომახიძე-გ. მაზნიაშვილი (B20)
 - ს. ზუბალაშვილი-კ. გამსახურდია-მ. კომახიძე-ნ. ბარათაშვილი (B21)
 - მ. კომახიძე-კ. გამსახურდია-ი. ჭავჭავაძე-ნ. ბარათაშვილი (B22)
 - მ. კომახიძე-ზ. გამსახურდია-ი. ჭავჭავაძე-გ. მაზნიაშვილი (B23)
 - ი. ჭავჭავაძე-ს. ესენინი-ა. წერეთელი (B24)
8. C (უპერსპექტივო - რუკაზე შემოფარგლულია წითელი ხაზებით) კვარტალების დასა-

ბუთება: ისტორიული ზონის სხვა კვარტალები (ასეთი იქნება, სტატიის ავტორთა ვარაუდით, 45 კვარტალი) მოკლებულია შესაძლებლობას და, კვლევის ამ ეტაპზე, სათანადო ინფორმაციას მათ შესთავაზონ რაიმე სახის პერსპექტიული განვითარება, ამ კვარტალებში უკვე არსებული განაშენიანების მაღალი ინტენსივობის, კვარტალის პარამეტრების შეზღუდულობის, რომელიც როგორც ახალ განაშენიანებას, ისე მაღალ სიმჭიდროვეს ზღუდავს ან აქ განლაგებული ძეგლების და/ან არსებული გამწვანების სიჭარბის გამო.

9. ბათუმის ცენტრის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული მორფოლოგიის მთავარი მახასიათებელი – ბადურა გეგმარებითი სტრუქტურის გაგრძელება, სტატიის ავტორთა აზრით, ყველა მიმართულებით შესაძლებელია, ტოპოგრაფიისა და არსებული პერიფერიული განაშენიანების დაბალი ხარისხის გამო (მთისძირის, ქვედა სამებას, ე.წ. „ხრუმჩოკების“, „მინდიას“, „ადლიეს“ მიმართულებით და ა.შ.)

სტატიის ავტორებმა „სითი ინსტიტუტი საქართველოსთვის“ შესრულებული კვლევის ფარგლებში მოახდინეს ქ. ბათუმის ისტორიული ბირთვის ხედვის 3D ვიზუალიზაცია (რენდერები) შეზღუდულად პერსპექტიული, ნაკლებად პერსპექტიული და უპერსპექტივო კვარტალების სათანადო გამოყოფით.



დასკვნა:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის ავტორთა აზრით, ქალაქი ბათუმი არ შეიძლება ჩასვა ხისტ ჩარჩოში, მისი მომავალი ბადის გაგრძელება ისეთივე ცვლილებებით გამდიდრდება, როგორც ეს წარსულში იყო. ამისთვის საკმარისია მსოფლიოს სხვა საპორტო ქალაქების ბადეები გავიხსენოთ: ნიუ-იორკში მანჰეტენის ბადეს ჭრის ბაუერი, კენელ სტრიტი, კუპერ სკვერი, მე-6 ავენიუ, ბროდვეი და სხვა მრავალი; ბარსელონის მართკუთხა ცენტრის გეგმას გადახაზავს დიაგონალ, ავენიდა დე რომა,

რონდა და სანტ პერე და სხვ.; ბათუმის ზომასთან ყველაზე ახლო, ბრიტანული პორტი პლიმუტის ბადე, გადასერილია ქუჩათა ბუნებრივი ქსელით და ა.შ.

ხაზგასასმელია, რომ ბათუმის ტოპოგრაფია, განვითარების უკვე ცალსახად გამოკვეთილი ცენტრიდანული ტენდენციები და ქ. ბათუმის ისტორიული ბირთვის კვლევის შედეგები ქალაქ ბათუმის პერსპექტიული განვითარების ვექტორს გვკარნახობს მთისძირის, ე.წ. „ხრუმჩოკების“, „ადლიეს“ და აეროპორტის მიმართულებით.

ლიტერატურა

1. Tchitchileishvili, M. (2013). The urban appearance of Batumi at the turn of the XIX-XX centuries Batumi-Past and contemporary. Publication III, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia.
2. Uzunadze, R. (2013). Announcement about old Batumi, Batumi (past and contemporary), (Adjara) II, Batumi, Georgia.
3. Resolution of the Government of Georgia №159, Batumi without amortized houses- On Approval of the State Targeted Program. (2022). Tbilisi, Georgia.

UDC 7.06

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-267-279>**Design Prerequisites for Urban Development of the Historical Core of Batumi****Nick Shavishvi**

International Design School, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75a, M. Kostava str.

E-mail: n.shavishvili@gtu.ge

Zviad Namgaladze

Department of Fine Arts and Fundamentals of Theory, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68, M. Kostava str.

E-mail: namgaladzezviad09@gtu.ge

Reviewers:**G. Mikiashvili**, Professor, International school of design, GTU

E-mail: g.mikiashvili@gtu.ge

M. Davitaia, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and design, GTU

E-mail: m.davitaia@gtu.ge

Abstract. The authors of the article conducted the research of the historical core of Batumi and prepared a project prerequisites for its development. Compared to many other port cities in the world, Batumi has less of an ancient historical and cultural heritage since the development of the historical core of the city largely dates back to the XIX century. Compared to architectural styles, Batumi's urban morphology is more homogeneous. The topography of the historical part of the city is relatively calm, the relief is horizontal, which allowed for a rectangular street network. As a result, historical core of Batumi developed as a European-type settlement and, in our opinion, it should form the basis for the organizational principles of Batumi's further development. This is based on the premise that the orthogonal planning of the city has been preserved to this day between Gogebashvili Street from the east, Griboedov Street from the west, Boulevard Street from the north and Chavchavadze Street from the south. The buildings located on the coastal strip were historically oriented with their main facades towards the sea.

However, since 2005 the architectural and urban fabric of Batumi was significantly damaged and the historical urban identity was effectively lost. Not only the historical part of the city has been impaired, but also its valuable landscape. The authors of the article see the prospects of helping to restore the port city's unique features by emphasising and strengthening a grid structure of its street layout, developing those urban quarters which carry less architectural and historical value and lifting the pressure from the valuable central quarters by directing the new developments outside of the core.

Keywords: Batumi; City development perspective; Development historic core of the center.

განხილვის თარიღი 08.02.2025

შემოსვლის თარიღი 10.02.2025

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.2025